საქართველოს კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის სამინისტრო

# სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი

# ბრძანება

13 08 2021 წ. № 122 ქ. თბილისი

მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის (კონკურსი #2/1) პროექტთა დაფინანსების თაობაზე

,,ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის-საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურო დებულების მე-2 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და საექსპერტო კომისიის 2021 წლის 17 ივნისის #3 დასკვნის საფუძველზე, ვბრძანებ:

1.დაფინანსდეს მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2021 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსში (კონკურსი 2/1) მონაწილე შემდეგი პროექტები:

ა) **„ჩამომყრელი"** – (პროდიუსერი -შპს „ნაკაშიძე", რეჟისორი - ლევან ნაკაშიძე) **– 74 662, 64 (სამოცდათოთხმეტი ათას ექვსას სამოცდაორი ლარი და სამოცდაოთხი თეთრი) ლარით;**

ბ)**„ამაღლება"** – (პროდიუსერი -შპს "20 Steps Productions", რეჟისორი - გიორგი თავართქილაძე) – **87 880 (ოთხმოცდაშვიდი ათას რვაას ოთხმოცი) ლარით;**

გ) **,,ვაკუუმი"** – (პროდიუსერი -შპს ,,12", რეჟისორი-თ. დოლიძე)-**63 000 (სამოცდასამი ათასი) ლარით;**

დ) **,,კორიდა"** – (პროდიუსერი -შპს ,,ტერა ინკოგნიტა ფილმს", რეჟისორი-გიორგი სამსიანი) **– 77 304 (სამოცდაჩვიდმეტი ათას სამას ოთხი) ლარით;**

ე) **,,ძაფი"** – (პროდიუსერი -შპს ,,Film Asylum", რეჟისორი-ლევან სიხარულიძე) **92 889, 28 (ოთხმოცდათორმეტი ათას რვაას ოთხმოცდაცხრა ლარი და ოცდარვა თეთრი) ლარით;**

ვ) **,,ალდი"** – (პროდიუსერი - შპს ,,ბრინგო", რეჟისორი-გიორგი არაბული) **55 485 (ორმოცდათხუთმეტი ათას ოთხას ოთხმოცდახუთი) ლარით;**

ზ) **,,მკვდარი"**- (პროდიუსერი-შპს ,,ახალი ქართული ფილმი+" , რეჟისორი - გიორგი ანთიძე) **– 56 653 (ორმოცდათექვსმეტი ათას ექვსას ორმოცდაცამეტი) ლარით;**

თ) **,,სიმღერა -სიცოცხლის საგალობელი"** (პროდიუსერი - ააიპ ,,ცისფერი მთები", რეჟისორი-ელდარ შენგელაია)- **85 000 (ოთხმოცდახუთი ათასი) ლარით;**

ი) **,,სავსე სიცარიელე“** – (პროდიუსერი-შპს ,,სტუდია+1“, რეჟისორი-ირინე ჯავახიძე)- **36 731 (ოცდათექვსმეტი ათას შვიდას ოცდათერთმეტი) ლარით;**

კ) **,,მილი“** – (პროდიუსერი-შპს ,,12“, რეჟისორი-შალვა სოყურაშვილი)-**54 000 (ორმოცდათოთხმეტი ათასი) ლარით;**

2. ბრძანების პირველ პუქტში განსაზღვრული პროდიუსერებისთვის თანხის გამოყოფა წარმოებაში ჩაშვების მიზნით, განხორციელდეს პროდიუსერების მიერ ,,ეროვნული ფილმის დებულების“ მე-4 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6)

დირექტორი

გაგა ჩხეიძე